№ 121 ხუთშაბათი, 20 თებერვალი. 1896—1897 ხუთშაბათი, 20 თებერვალი, № 121

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13.**
Редакція „Цнобисъ Пурцели“.



სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—21 წ.)

ქართული თეატრი

შაბათს, 22 თებერვალს 1897 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილის, აბაშიძის და და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

სამშობლო

დრ. 5 მოქმ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა და კარგარელისა, ბ. ბ. აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, შათირიშვილი, მარჯანიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

ხუთშაბათს, 20 თებერვალს
ტფილისის კლუბის დარბაზში
გამართულ იქნება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნ. კ. ფ. გურამაშვილისა, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. ლ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. შატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი.

კონცერტის შემდეგ გაიმართება **ცეკვა, ლეკური და კოტილიონი.**

ტანისამოსი სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივია, დანარჩენთათვის ფრაკი სავალდებულო არ არის.

დაიწყება $8^{1}/_{2}$ საათზე საღამოს.

ბილეთები იყიდება საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე) და კონცერტის დღეს კლუბის შვეიცართანაც. (5—5)

ტფილისის მოქალაქეთა გამგეობა

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ მას მოუვიდა ტფილისის სახაზინო პალატიდგან 1897 წლისათვის ხარჯის გასაწერი ფურცელი და ამიტომ ხარჯის გაწერის კანონდებლობის 262 მუხლისა და 840 მუხლის შენიშვნისა და აგრეთვე ქონებათა შესახებ კანონმდებლობის მე-IX ტომის 596 მუხლის მე-4 შენიშვნისა და 665,670 და 671 მუხლის ძალით ზემოხსენებული გამგეობა შეუდგება ამომრჩეველთა სიის შედგენას, რათა შემდეგ არჩეულ იქმნენ ხარჯის და ბეგარის გამნაწილებელნი, მიხედვით 244, 245 და 246 მუხლისა მე-V ტომის წესდებისა ხარჯის აკრების შესახებ. გამოცემა 1857 წ.

გამგეობა სთხოვს ყველა მოქალაქეს, ვინც ხარჯს იხდის, შეატყობინოს გამგეობას ამა წლის პირველ მარტამდე, პირადათ ანუ ქაღალდით: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი, 2) თუ შესაძლებელი იქმნება, 1896 წლის კომერალურ აღწერის ანუ საოჯახო აღწერის ნომერი, 3) დაწვრილებითი ადრესი (ქალაქის ნაწილი, ქუჩა, სახლის ნომერი). ქონებათა შესახებ კანონმდებლობის მე-IX ტომის 599 მუხლში აღნიშნულნი პირნი, რომელთაც კენჭის უფლება არა აქვთ, არჩევანებზე ვერ დაესწრებიან. ამომრჩეველთა სიის შემოწმებისა და შედგენის შემდეგ, ცალკე იქმნება გამოცხადებული ის დღე, როდესაც დაინიშნება არჩევანები ხარჯის გამნაწილებელთა.

(2—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(წ.)

ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის უფროსი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც

პირველი ხარისხის ბანქო

სჭირია, იყიდონ ამ სკოლაში იმავე ფასად, როგორც ქუთაისის ვაჭრები ჰყიდიან, რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ სკოლას.

(10—5)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).
18 თებერვალი.

პეტერბურგი. 18 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე პეტრე-პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი იმპერატორის ნიკოლოზ I-ს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი.

ლონდონი. ორის დღის ბრძოლის შემდეგ 2 თებერვალს დაპყრობილ იქმნა ქალაქი ილორინი, ნუბიის ემირის სამფლობელო. ევროპიელთაგანი არავინ არის მოკლული. ბრძოლა გათავებულა.

კანეია. უცხო ქვეყნის სამხედრო გემები, რომელნიც 13 თებერვალს (25) სელინოს წავიდნენ, ჯერ არ დაბრუნებულან. სამმა მაჰმადიანმა, სელინოდგან გამოქცეულებმა, განაცხადეს, რომ ჩვენი ამხანაგები ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაში არიანო. ამ ამბავმა აქაური მაჰმადიანნი ძალიან შეაშფოთა. ისინი რამდენჯერმე შეიკრიბნენ დიდად აღელვებულნი. ჰშიშობენ, რომ ძალ-მომრეობა არა მოხდეს-რაო. ჰალეპოში ძარცვა-გლეჯა ჯერ არ შეწყვეტილა. საფრანგეთის კონსულის სახლი აკლებულია.

სოფია. სერბიის მეფის ალექსანდრეს აქ ჩამოსვლისა გამო დღეს დილიდგანვე მთელი ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. ყველგან ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სდგას და დიდად აღტაცებულია. მეფე მობრძანდა დილის 11 საათზედ. თან ახლდნენ მინისტრნი სიმიჩი და უიჩი და სამხედრო და სამოქალაქო ამალა. მეფეს ეცვა სერბიის მუნდირი [illegible] გაკეთებული ჰქონდა ბოლგარის [illegible] ალექსანდრე 1-ლის ხარისხის ორ[illegible]ნის ლენტი. მთავარს ფერდინან[illegible] გაკეთებული ჰქონდა სერბიის წმ. საბას ორდენის ლენტი და მეფეს რკინის გზის სადგურზედ მიეგება. მას თან ახლდნენ ამალა, მინისტრები, სამღვდელოება, დიდ-ხარისხოვანნი სამხედრო და სამოქალაქო წოდების მოხელენი. მთავარი სიყვარულით მიესალმა მეფეს და მშვიდობიანიდ მობრძანება მიულოცა. მეფემ სალამი მისცა საპატიო დარაჯს, რომლის მუსიკაც სერბიისა და ბოლგარიის საერო საგალობლებს უკრავდა. სოფიის მიტროპოლიტმა პართენმა დალოცა მეფე ჯვარით, რომელსაც მეფე ემთხვია. მეფის დასახვედრად არჩეულ საქალაქო კომისიის პრეზიდენტმა პერ-მარიდიმ მიართვა მეფეს და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. მეფემ მადლობა გადაუხადა. რკინის გზის სადგურის შენობაში მეფეს წარუდგნენ საერო კრების თავმჯდომარე და დიდ ხარისხოვანნი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. საპატიო ეტლით მეფე და მთავარი სასახლეში გაემგზავრნენ. რკინის გზის სადგურიდგან სასახლემდე ჯარი იყო გამწკრივებული და ჯარს უკან ხალხი იდგა. მეფის პატივ საცემლად გამართულს კამარა შეკრულს გასავალთან მთელი ეტლი ყვავილებით აავსეს. სტუმრები სასახლის მშვენიერის ეტლში ისხდნენ. ხალხი დიდად გულ-მხურვალედ მიეგება მეფეს და გაისმოდა „ჟივიო“. სასახლეში მეფეს მიეგება მთავრის მეუღლე მარია ლუიზა. 4 საათზედ მეფე წაბრძანდა სადიპლომატიო სააგენტოში, სერბიის და ახალშენის მცხოვრებნი ინახულა. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებულ იყო. სასახლეში დიდი სადღესასწაულო სადილი იყო გამართული.

გუშინდელი დეპეშა

18 თებერვალი

პეტერბურგი. უმაღლესნი ბრძანებანი: უმართებელესის სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორს თავად ობოლენსკის ებრძანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ ყოფნა; რიაზანის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს გურჩინს ებრძანა ირკუტსკის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ ყოფნა.

პარიჟი. 17 თებერვალს ბარონმორენჰეიმის თანადასწრებით გაიხსნა რუსეთის მხატვროათა და ქანდაკებათა გამოფენა.

ბერლინი. როგორც კანდიიდგან მოსულ ცნობებითა სჩანს, ამ ქალაქისა და ქალაქის ახლო-მახლო ადგილების მაჰმადიან მკვიდრთ სიმშილის შიში მოელით. უცხო ქვეყნის გემებმა მაჰმადიანნი გადაარჩინეს გამძვინვარებულ ქრისტიანეთაგან.

ვენა. 17 თებერვალს იმპერატორი კაპ-მარტენში წავიდა.

ათინა. დიდთა სახელმწიფოთა ელჩები უკვე შეთანხმდნენ ერთმანეთში იმ მიწერილობის შინაარსის შესახებ, რომელიც, განზრახვა აქვთ, საბერძნეთის მთავრობას გაუგზავნონ; ამასთან მისი შინაარსი დეპეშით აცნობეს თავიანთ მთავრობათაც მათდა დასამტკიცებლად და იმიტომ რომ ამის კვალობაზედვე ეუწყოს [illegible] ოსმალეთსაც. ორი მიწერილობა იქნება გაგზავნილი, ერთი ოსმალეთს გაეგზავნება, მეორე საბერძნეთს.

სოფია. 17 თებერვალს აქ ჩამოვიდა სერბიის მეფე, რომელსაც მთავარი მიეგება. რამდენისამე ხნის შემდეგ მეფე მიესალმა სასახლეში დედოფალს. მცხოვრებნი თანაგრძნობით მიეგებენ მეფეს.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ფოსტით მოსული ფულიან და სხვა ფასიანი პაკეტები შეიძლება ბინაზე მიეტანოთ იმ პირთაც, რომელნიც წერა-კითხვის უვიცნი არიან და მხოლოდ თავის სახელისა და გვარის მოწერა იციან, იმ წეს-რიგითვე, როგორც წერა-კითხვის მცოდნეთათვის მოქმედობს, ხოლო ასეთს შემთხვევაში თვით ბათილდამას მოწვეული გარეშე პირი სწერს და პაკეტის მიმღები ამის მერმე ხელს აწერს ბათილდამას.

—

აზ. ნოე ელენტი და ექვთიმე ხოშტარია დანიშნულ იქმნენ: პირველი-ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უმცროს ფოსტალიონად და მეორე—აბაშის ფოსტის განყოფილების უმცროს ფოსტალიონად.

—

ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი პატარიძე—დანიშნულ იქმნა იმავე კონტორის VI ხარისხის უმცროს ფოსტ-ტელეგრაფის მოხელედ.

—

სასამართლო დაწესებულება. ტფილისის მაზრის სამოსამართლო განყოფილების მდივანი თანაშემწე ალექსანდრე სიმონის ძე ქუთათელაძე დათხოვნილ იქმნა მისივე თხოვნით ავადმყოფობის გამო სამსახურიდამ და მის ალაგას დანიშნულ იქმნა იმავე განყოფილების მოხელე ალექსანდრე სოლომონის ძე საყვარელიძე.

—

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებისადმი. ტფილისის გუბერნატორის მინდობილებათა უმცროსი მოხელე, არმიის კავალერიის პორუჩიკი თავადი ჯანდიერი დანიშნულ იქმნა გურის მაზრის უფროსის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ახალი ამბავი

⁂ **შავი ზღვისპირელის წერილის გამო (ილია ჭავჭავაძის იუბილე)** *). ბ-ნო რედაქტორო! თქვენ ყურ-მახვილ და პატივცემულ „ცნობის ფურცლის“ მე-109 ნომერში წავიკითხე შავი ზღვის-პირელის აზრი თ. ილია ჭავჭავაძის მომავალ იუბილეის შესახებ. ყოველისფრით კარგი აზრია და მეტის-მეტად სასიამოვნოდ დამრჩა დაარსება „ილიას აუზისა“ მით უმეტეს, რომ ის „აუზი“ უნდა იყოს დაუშრეტელი მწყურვალთა და მაშვრალთა და ი. ჭავჭავაძის გულ-საკლავ და ნაღვლიან კითხვაზე: „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აჰყვავდები?“ მაშინ მიეცემა ღირსეული პასუხიო, ბრძანებს შავიზღვის პირელი. ვიმეორებ, ეს ფრიად სანატრელია, რომ მართლაც ასეთი დაუშრეტელი აუზი დაარსდეს, მაგრამ არა მგონია ეს აზრი განხორციელდეს, რადგან დღეს ისეთს ჩარჩოში ვართ ჩასხმულ-ჩალურსმულნი ნივთიერად თუ სხვაფრივ, რომ ეს აზრი სიზმარში მოჩვენებულ ფანტაზიათ ჩამოგვერთმევა; მაინცა და მაინც გზა დაგვილოცნია ამ აზრის განხორციელებისათვის და დიდის სიამოვნებით ჩემს ცოლ შვილს, ჩემის პატარა ჯამაგირიდან, წავგლეჯ რაოდენსამე ხელიდან, ოღონდ ეს „დაულეველი აუზი დაარსდეს.

ბატონო! ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ რაღაც შიშზე, რომელიც წარმოუდგენია შავი ზღვის-პირელს. იგი ბრძანებს: „მე პარტიობა მაფიქრებსო... მისდა საწინააღმდეგოდ ამართულია მწვანე დროშა პარტიზან ჯარისა“ (ნეტა რომელ მუზეუმში არის ეს დროშა, ან რომელ მოედანს ამშვენებს?!), გულ-დამშვიდებით ნურავინ იქნებითო“. ახა ვაიმე!! აბა ეხლა ჰმართებს იმ გამოჩენილ მხედარ-მეომარ ჭავჭავაძეს დაიძახოს: „თოფ, ზარბაზან, ნა ჩაჩან სტრელიაიო“! მე ეს შიში რომ ამოვიკითხე, ისე გავშტერდი, რომ როცა გონებას მოვედი, „ოთარაანთ ქვრივივით“ ორი თითი ტუჩებზედ შემრჩენოდა და ვბუტბუტებდი: განონილა, თქმულა, გეთაყვათ, ასეთი ჭორების დიპლიპპო და ნაღარა-მეთქი. რა იყო, ბატონო, რა მოხდა! რად ავრცელებთ მაგისთანა უკადრისს ფანტაზიებს?! განა ვინა გგონიათ მაჩაბელი და მისი თანა მოაზრენი?! ან რა საბუთი გაქვთ ხელში, რომ მაგისთანა შეუსაბამო ფიქრებს საზოგადოებას ფანტაზიურად უძღვნით! თქვენ, ბ-ნო შავი ზღვის-პირელო, სადა ბრძანდებოდით, როდესაც თვით თ. ი. მაჩაბელმა და მისმა სიკვდილამდის ერთგულმა „პარტიამ“ კრებაში კამათობის დროს საზოგადოების წინ საქვეყნოდ წარმოსთქვეს, რომ „დიდად და კიდევ დიდად ვსდებთ თ. ი. ჭავჭავაძეს პატივს და სიყვარულიც გვაქვს, რომელიც დაიმსახურა თავისის ნიჭიერის პოეტობითაო და ვეწინააღმდეგებით, როგორც ბანკირსაო“. ეს სიტყვები ჩემის ყურით გავიგონე თ. ვ. მაჩაბლისაგან, ბ ნ მ. მაჩაბლისაგან და სხვებისაგანაცა. მაშ თქვენის აზრით, არც თ. ი. მაჩაბელს და არც მისს პარტიას აღარც თავის მოყვარეობა აქვთ, აღარც სამშობლოს სიყვარული და აღარც სამშობლოს აყვავება ჰსურთ? არა, არა, ასჯერ არა, ბატონო შავი ზღვის-პირელო! აბა დაფიქრდით, რა ჩირქსა სცხებთ მთელს ქართლოსის ნახევარ ტომს? თქვენ თქვენის აზრით ამოდენა ხალხს გულიდან ჰგლეჯთ კაცობრიულ მისწრაფებას. იქნება თქვენ ისა გაქვთ მიღებული სახეში, რომ თ. ი. ჭავჭავაძემ მიიღო დეპეშა თავის სახელწოდების დღეს: ПОДАВИСЬ ИМЯНИННЫМЪ ПИРОГОМЪ, არა, ამაშიაც მოტყუებული ბრძანდებით. რა იცით, რომ ეს დეპეშა ზოგიერთ ბოროტ ხალხთაგანმა არ შეთითხნეს, რათა გაამწვავონ ჭავჭავაძეს და მაჩაბელს შორის განხეთქილება და მით მთელს ქართლის შვილებს მოუღონ ბოლო?! განა ცოტა მაგალითი გვიძევს თვალ წინა? ნუ დაგავიწყდებათ ესა და ბევრი კიდევ სხვა...

ასეა თუ ისე, გარწმუნებთ თქვენცა და ყველას, რომ არაფერი მაჩაბლისტებისაგან უწესობა არ მოხდება, რადგან დარწმუნებული ვარ მაჩაბლისტებს თუ მეტი არა, მაინც და მაინც ნაკლები არ ესმით და მეტად უყვართ სამშობლო და სამშობლოს პოეტები. ეს კი მომეტებული ჭირვეულობა იქნება იმ პირთაგან, რომელთაც უნდათ ჰო ათქმევინოთ იმაზე, რომ თუ ჩემი თვალები მოგწონს, უსიკვდილოდ ჩემი კეხიანი ცხვირიც მოიწონეო!...

კოსმოპოლიტი ლავრენტი.

P. S. ჩემის აზრით ილიას იუბილეიზედ შეგროვილი ფული აუცილებლივ უნდა მიებაროს აქნობამდის შეგროვილ თანხას დედათა სკოლისთვის, და უნდა მათგან განვახორციელოთ დედათა მომავალი სკოლა: ცარიელი ოცნება ვერ დაგვიხსნის ქალიშვილებს.
მიდიან, ჩვენი ნასწავლი ვაჟიშვილები გვეცლებიან ხელიდან, ვერა ჰპოებენ თავიანთ შესაფერ ქალებს და იძულებულები არიან სხვა ტომის ნასწავლი ქალები შეირთონ.

⁂ **სამწუხარო შეცდომის გასწორება.** ჩვენს გაზეთში № 115-ში დაბეჭდილ იყო ცნობა ბათომიდან, რომ გარდაიცვალა დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ბ-ნი ონისიმე ქავთარაძეო, ხოლო ასოთ-ამწყობთ შეცდომით ონისიმეს მაგიერ სამსონი აუწყვიათ და ეს შეცდომა ვერც კორექტორს შეუმჩნევია. ამ შეცდომის გამო, თურმე, ბევრი უსიამოვნება გადახდა პატივცემულ სამსონ ბეჟანის ძე ქავთარაძეს, რომლის წინაშე რედაქცია ბოდიშს იხდის.

⁂ **ზომები შავი ჭირის თავიდამ ასაცილებლად.** სხვა ზომათა შორის გარდაწყვეტილია, გაიგზავნოს 35 ათასამდე ჯარის-კაცი შავი ზღვის ნაპირებისა და ოსმალო და სპარსეთის სამზღვრების დასაცველად, რომ კავკასიაში ხსენებულ ადგილებიდამ არ შემოიტანონ შავი ჭირი.

⁂ **მექარხნეთა დაჯგუფება.** ბ. ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ყველა მაზრის უფროსებს, რომ მათ დაავალონ ვაჭარნი და ქარხნების პატრონები—დაუყონებლივ შეატყობინონ ხოლმე საგუბერნიო მეხინაკს—თუ, ვინიცობა, ქარხანაზედ მუშებს რამ უბედურება შეემთხვათ.

⁂ **თელავის საარტისტო წრის შესახებ.** ტფილისის გუბერნატორისთვის მოუხსენებია თელავის მაზრის უფროსს, რომ „თელავის საარტისტო წრე“ შეიძლება აღარც კი გაიხსნასო, რადგან დამაარსებელ წევრთა უმრავლესობა აქედამ სხვა-და-სხვა ქალაქებში გადიდნენ საცხოვრებლადაო.

⁂ **მიცვალებულის გვამის ნახვა.** გორის მაზრაში, უბანს აშურიანში, ამ დღეებში უპოვიათ, თურმე, ქუთაისის მაზრის მცხოვრების სამსონ თებზაძის გვამი. საცოდავი ტფილისში მოემგზავრებოდა, თურმე საქიმოდ.

⁂ **ამხანაგობა „შუამავალი“.** ტფილისში შემდგარი ამხანაგობა „შუამავალი“ ამ დღეებში დაიწყებს თავის მოქმედებას. ჯერ-ჯერობით ეს ამხანაგობა ხსნის თავისთვის ოთხთვლიან მაღაზიას მუხრან-ბატონის სახლში, კუთხეში „ბაზრის ქუჩაზედ“. ამ მაღაზიის ეხლა მხოლოდ ჰლებავენ შიგნიდგან და გარედგან და მალეც დაიწყებს მოქმედებას, გახსნის უმალვე დაწვრილებით ცნობებს შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

⁂ **საქველ მოქმედო სასულიერო კონცერტი დიდ-მარხვაში.** ჩვენ ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ ბ. მონდირაშვილის ქართული გუნდი, რომელიც ბ. ბენაშვილის მიერ გადაღებულს ნოტებზედა ჰგალობს, ეხლა ემზადება სადიდმარხვოთ კონცერტის გამართვისათვის. პროგრამმა შედგენილია ლოცვისა, ცისკრისა და წირვის საგალობლებისაგან. მაგალითად: „წმინდაო ღმერთო“, „წმინდაო, წმინდაო“, „შენ გიგალობთ“, „რომელი ქერუბიმთა“ და სხვა და სხვა. იმედია, კონცერტი კარგად ჩაივლის, რადგან ყოველი მონაწილე, ვაჟი თუ ქალი, გულმოდგინედ ეკიდება თავის საქმეს. ეს კონცერტი საქველ-მოქმედო აზრით იმართება და ამასთან საეკლესიო კონცერტი ქართულს ენაზედ ეს მხოლოდ მეორე უნდა იყოს ვგონებთ.

⁂ **ტფილისის ქალაქის სამკურნალო** ამ დღეებში დაუთვალიერებიათ ქალაქის ხმოსანთ ბ. ბ. მელიქიშვილისა და კოლუბანსკის და აღმოუჩენიათ, რომ საავადმყოფოს აფთიაქისათვის მეტის მეტი ვიწრო და უსინათლო ოთახი აქვს, ის ოთახიც, თურმე, მეტად, პატარაა, რომელშიაც ავადმყოფები წამალს უცდიან. ამის გარდა აღმოჩნდა, რომ ავადმყოფები დიდხანს უცდიან ხოლმე წამალს მოუთავსებელს ოთახში და ხშირადაც, ბევრის ცდა-ლოდინის შემდეგ, ავადმყოფს უცხადებენ, რომ წამალი ხვალამდის არ მოგეცემაო. ამ უწესობის თავიდამ ასაცილებლად სარევიზიო კომისია საჭიროდ სცნობს, წამლის მთხოვნელთ მიეცეთ ხოლმე „კონტრამარკები“, რომლებშიაც უნდა აღინიშნოს წამლის მომზადებისათვის საჭირო დროს რაოდენობა. ეს წესი უკვე შემოღებულია კერძო აფთიაქებში.

⁂ **ავჭალის ტრამვაის მფლობელს** ბ. ყორღანოვს გამოუცხადებია ქალაქის გამგეობისათვის, რომ მას თავისი ტოტი რკინის გზისა სურს გარდასცეს „ტრამვაის საზოგადოებას“, მაგრამ რადგან ესეთი გარდაცემა შეიძლება მხოლოთ ქალაქის საბჭოს თანხმობით, ბ. ყორღანოვს უთხოვნია გამგეობისათვის ეს მისი განცხადება მოხსენდეს საბჭოს.

⁂ **ხარფუხელების საჩივარი.** ქალაქის მეექვსე ნაწილის ხარფუხის მკვიდრნი უჩივიან იმ უწესობებს, რომელიც იქ სუფევს. ჩვენთვის პოლიცია არ არისო; ქურდობა ძრიელ გახშირებულია და ღამით სიარული მეტად საშიში—მთელი კვირა ისე გაივლის, რომ მთელს უბანში ერთს პოლიციელსაც ვერ იპოვით. კაცს რომ ჰკლავდეს ვინმე, მომხმარე არავინ არის. გარდა ამისა საშინელი სიბინძურეა უბანში. ქუჩის დამგველი ხომ არა გვყავს და არა. ერთხელაც არ გაუსერნია ჩვენს ქუჩაში სასანიტარო კომისიის რომელსამე წევრს და რა გასაკვირი იქმნება, თუ ასეთს სიბინძურეში მოსაწონი ბინა გაიკეთა ყოველმავე გადამდებ ავადმყოფობამ. დრო არისო, სჩივიან, რომ ჩვენც გადმოგვხედონ მოწყალე თვალით, ვისიც ჯერ არს და ასეთის განსაცდელისაგან დაგვიხსნან.

⁂ **ახალი სკოლები. კავკასიის სამოსწავლო ოლქში** შემდეგი ახალი სკოლები დაუარსებიათ. ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა სოფლებში: ქუთაისის მაზრაში.—ერთკლასიანი: სოფ. გუბში—78 შეგირდისათვის, ივან-დიდში—75 შეგირ., ბანოჯაში—40 შეგირდ., პატრიქეთში—45 შეგირ., ობშკვითში—37 შეგირ., ფარცხანაყანევში—43 შეგირ., ოზურგეთის მაზრაში—სოფ. ძიმატახში—34 შეგირდ.; შორაპნის მაზრაში—სოფ: ხუნევში—23 შეგირდ.; სენაკის მაზრაში—სოფ. სეფიეთში—20 შეგირდ.; სოხუმის ოლქში—სოფ. თამიშახში—40 შეგირდ., და ჯეგორდახში—15 შეგირთ., ამის გარდა ოზურგეთის მაზრაში შემდეგი ერთ-კლასიანი სკოლები ორ-კლასიანებად გადუკეთებიათ: სოფ. ნიგოითისა, ჩოჩხათისა, ჯვარცმისა და კიდევ დ. ხონის სასწავლებელში გაუხსნიათ მე-II პარალელური კლასი.

⁂ **თვალ-საჩინო ქველ-მოქმედება.** ბაქოელს მდიდარს ვაჭარს ჰაჯი-ზეინალ-აბდინ თაღიევს შეუწირავს თხუთმეტი ათასი მანათი „კავკასიის სამეურნეო და სახელოსნო ზნეობის გამასწორებელის ახალ-შენთა და თავშესაფართა საზოგადოებისათვის“.

⁂ **ფრანგულისა და ნემეცურის ენის კურსები ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის.** ამ მოკლე ხანში ყველა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქებში გაიმართება სკოლები, სადაც ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი შეისწავლიან ფრანგულსა და ნემეცურს ენებს.

⁂ **მოჯამაგირეების გაქურდვა.** გუშინწინ ავჭალის ქუჩაზე გაუქურდავთ დიკენსონის ღვინის სკლადის მოჯამაგირეები. ქურდები, თურმე, ფანჯრიდან შესულან ოთახში, წაუღიათ ტანისამოსი ოთხის მოჯამაგირისა, ჩოხა ახალუხები, საათი, ხა-

---

*) ჩვენ შეუმოკლებლივ ვბეჭდავთ ამ წერილს, რომელიც დ. ელენოვკიდან მოგვივიდა ერთის ჩვენის პატივცემულ ხელის-მომწერისაგან. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიჩა, ხუთმეტი მანათი ფულად, სულ ათ თუმნამდე. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **დანარჩენი სად დაიკარგა?** ბ-ნო რედაქტორო! 1890 წელს მაისის 15-ს თბილისში შესდგა პატარა წრე, რომლების წევრებათ ვითვლებოდით შვიდი ახალ-გაზდა. ალ. მერაბიშვილი, ალ. განძიელი, ილ. ქოჩორაშვილი, ივ. ბერიანიძე, ივ. ბუზარიაშვილი, მ. თოიძე და თქვენი უმორჩილესი მონა გ. თოიძე.

ჩვენი მიზანი იყო ტფილისში დაგვეარსებინა ქართული იაფ-ფასიანი სამკითხველო ტფილისის მდაბიო ხალხთათვის; შევიძინეთ ექვსასამდე წიგნი და თითქმის ყოველ გვარი საჭირო მოწყობილება, მაგიდა, სავარძლები სკამი და სხვა-და-სხვა. მე რომ პეტროვსკაში წამოვედი, ხსენებულს წრეს გარდაეწყვიტა, ბიბლიოთექის გახსნა მინდობილიყო ქ-ნს ა. წერეთლისას და ყველა წიგნები და ავეჯი გარდაეცათ ჩვენივე წრის წევრის ალ. მერაბიშვილისათვის, რომელსაც სისრულეში უნდა მოეყვანა ამხანაგობის გარდაწყვეტა; ამ უკანასკნელს კი აი რა მოუხდენია: 70 სხვა-და-სხვა წიგნი შეუწირავს ტფილისის ქართველ კათოლიკეთა საეკკლესიო სკოლისათვის (იხილეთ „ივერია» 1894 წ. № 218 მეოთხე გვერდზედ) და „წერა-კითხვის» საზოგადოების ახლად გახსნილ სამკითხველოსთვის (კუკია, კოჩუბეის ქუჩა № 13) შეუწირავს სამასზედ მეტი სხვა-და-სხვა წიგნი (იხილეთ „კვალი» 1894 წ. № 52 მესამე გვერდზედ).

აი ასე შეასრულა ბ-ნმა ალექსანდრე მერაბიშვილმა ამხანაგების გარდაწყვეტილება. სად არის ავეჯი და დანარჩენი წიგნები, რომელსაც სულით და გულით ვემსახურებოდით და ვზღიდით?! ამის შესახებ ბევრჯერ მიმიწერია ბ. ალ. მერაბიშვილისათვის და პასუხი კი ერთხელაც არა მღირსებია, ამიტომ უმორჩილესადა ვსთხოვ ბეჭვდითი სიტყვით მაინც მომცეს პასუხი? სულ არაფერი არ მინდა ვიფიქრო, მაგრამ უცნაური ზნე სჭირს ჩვენში ყოველ დაწყობილს საქმეებს.

გიგო თოიძე.

⁂ **ოზურგეთი. საბჭოს კრება.** 11 თებერვლის სხდომაზე ოზურგეთის საბჭოში ხმოსნებს სჯა-ბაასი ჰქონდათ, სხვათა შორის, ზვანის აგარაკის შესახებ. საქმე ის გახლავსთ, რომ დღე-დღეობით ქალაქ ოზურგეთის მცხოვრებთ ადგილი არა აქვსთ ისეთი, რომ საქონელი აძოვონ. ამაზე წინად სარჩიელი გაგზავნეს კიდეცა: ხაზინამ მოგვიჰრას თავისუფალი ადგილი საძოვრადაო. ხოლო მთავრობა, სანამ ამ სარჩიელს დაუკმაყოფილებს ოზურგეთის ქალაქს, ხმოსნებმა გადასწყვიტეს, ვისმე მიანდონ გაწმენდა ზვანის აგარაკისა, რომელიც ქალაქს ეკუთვნის და უხმარადა დევს, და გამოყენება მისი საძოვრად.

ამავე კრებაზე ლაპარაკი აღიძრა თვით-მმართველობის საქმეების განაწილების შესახებ. საქმეები ბევრი აქვს თვით-მმართველობას, კრება ისე არ ჩაივლის, რომ ორი-სამი საკითხი არ აღიძრას და რამე არ დაადგინონ. ყოველს დადგენილებას მიყოლა და ბოლოს გადევნება უნდა. ქალაქის თავმა თ. ნ. თავდგირიძემ წინადადება მისცა ხმოსნებს: რადგან მე მარტო ვერ ავდივარ ყველაფერს, გავინაწილოთ ერთმანერთშორის საქმეო. ხმოსნებმა მოიწონეს ეს წინადადება და დაადგინეს: ქალაქის საყასბოს აშენებას, ზოგიერთ ხიდების გაკეთებას და სხვა შენობებს თვალყური ადევნონ ხმოსნებმა: დიმიტრი ცეცხლაძემ, ლუკა ურუშაძემ და ალმასხან ურუშაძემ. ხოლო საბჭოს დადგენილების შესრულება შესახებ ზოგიერთ გზების და ბოგირების შეკეთებისა დიევალოს ხმოსნებს: გრიგ. ჭინჭარაძეს, სამ. სამაიშვილს და ისიდ. კვაჭანტირაძეს. ხოლო ხიდების შეკეთებისათვის საბჭომ 1,000 მანათი გადასდო.

აღძრულ იქმნა აგრეთვე ფრიად საინტერესო კითხვა საშუალო სასწავლებლის გახსნის შესახებ ქ. ოზურგეთში. ქალაქის თავმა განუმარტა ხმოსნებს განწირული ყოფა მთელის მაზრისა და კერძოდ ოზურგეთისა იმის მეოხებით, რომ ერთი საშუალო სასწავლებელი არა გვაქვსო. ყველაზე მეტად საჭირო ჩვენთვის საშუალო სასწავლებელიაო. საბჭომ გულ მხურვალედ მოისმინა ბ-ნ ქალაქის თავის აზრი და სთხოვა თვითონ ქალაქის თავს თ. ნ. თავდგირიძეს და ხმოსანს გრ. ჯაყელს, შეიმუშავეთ ამ საგნის შესახებ პროექტი და უმაღლესს მთავრობასა სთხოვეთ, ჩვენს გაჭირვებას მალამო დასდოსო.

⁂ **სოხუმი. ხმოსნების დამტკიცება.** ჩვენ დეპეშით გვატყობინებენ სოხუმიდან, რომ ხმოსნები დამტკიცებულ იქმნენ მთავრობისგანაო. მადლობა ღმერთს, რომ ძლივს მაინც დასრულდა ეს დაუსრულებელი ამბავი და ქალაქ სოხუმს ეღირსა პატრონი.

ეხლა სრული იმედია, რომ სოხუმის ხმოსნები მორიგდებიან და შესაფერს კაცს აირჩევენ ქალაქის თავად. სოხუმს სჭირია მხნე, გამჭრიახი, ერთგული და ბეჯითი მოურავი.

⁂ **სოხუმი. გ. წერეთელი ქალაქის თავად.** აქ განზრახვა აქვსთ ქალაქის თავობა გ. წერეთელსა სთხოვონ. მით უფრო სახეირო იქმნება ბ-ნ გ. წერეთლისათვის ამ საპატიო თანამდებობის მიღება, რომ ხე-ტყის კანტორაც აქ ექმნება და იმასაც უგდებს ყურს.

⁂ **რაჭის ამბები: რაჭის უპატრონობა.** დიაღ, დიდი ხანია მას შემდეგ, რაც რომ შემთხვევით ერთს მონადირეს მოუნათლავს ჩვენი ქვეყანა და სახელად რაჭა უწოდებია, როგორც ამას მოგვითხრობს ჩვენი პირველი გეოგრაფი ვახუშტი. თითქმის ყველა საგნებს ასე დაბადებია სახელები, პირველად საგანი მიუმსგავსებიათ რისთვისმე და შემდეგ შესაფერისი სახელი დაურქმევიათ. ჩვენის ქვეყნისთვისაც სანართლიანად მიუთვისებიათ სახელი რაჭა, რომელიც თავის გეოლოგიურ მდებარეობით სავსებით წარმოგვიდგენს ჭას; მაგრამ, მკითხავთ, როგორ ჭას? ისეთს ჭას, რომლიდგანაც დიდი ბატონი თავის მოსამსახურეებს აზიდვინებს წყალს სახმარისად, ხოლო როცა კი ამ ჭაში გველ-ბაყაყები ჩნდებიან და ამაზედ მოსამსახურეები უმდაბლესად მოახსენებენ თავის ბატონს, ამ უკანასკნელს არ სჯერა და არც უნდა გაისარჯოს და ინებოს მიბძანდეს ჭამდის, შიგ ჩაიხედოს და დარწმუნდეს თავის პატიოსანის თვალით, თუ რამდენად სიმართლესთან ახლოა მოსამსახურის მოხსენება.

ჩვენ, რაჭველებს არა გვყავს ისეთი პირი, რომ ჩვენი მრავალ გზით დასნეულებულ-შევიწროებულ მდგომარეობისათვის გული შესტკიოდეს და მის კეთილ-დღეობაზედ ზრუნავდეს; არც გვაბადია ისეთი მწერალი, რომელიც აწვდიდეს განათლებულ საზოგადოებას რაჭის ცხოვრებიდგან სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო ამბებს, რათა ამ საშუალებით მაინც გააცნონ რაჭა ქვეყანას და მის წყლულებებს წამალი რამ დასდონ...

აქაურ მკვიდრთა შეძლება. საზოგადოდ მთელს რაჭაში, განსაკუთრებით-ვი ქვემო რაჭაში, ზამთარი ძლიერ კარგი დაგვიდგა; თოვლი აქ თითქმის სრულიად არ არის და არც მძაფრი ყინვები; ამ გარემოებამ ძრიელ შეგვიწყო ხელი პირუტყვთა გამოკვებაში, თორემ თქვენი მტერი, რაც ჩვენ დღე დაგვადგებოდა, წელს დიდი ზამთარი რომ დაგვდგომოდა. აქაურებს არა თუ საქონლის საკვები, არამედ ჩვენთვისაც წლის საკმარისად სარჩო მეათედ ნაწილსაც არ გვაბადია. ეხლა ვტყობილობთ, რომ მთავრობას განუზრახავს ჩვენთვის დახმარება, ღმერთმა ჰქნას!

აქამომდე ქვემო რაჭის ზოგიერთ სოფლებში მძვინვარებდა ხუნაგი და ბევრიც იმსხვერპლა ამ სენმა, მაგრამ ეხლა ყველგან ამოიკვეთა ფეხი აქაურ ექიმის ბ. ნადირაძის დაუზარებელ შრომა-მეცადინეობის წყალობით.

სწავლა-განათლების საქმე ეს მეოთხე წელიწადია რაც, შედარებით, უკეთეს დონეზეა დამყარებული, ვიდრე წინად იყო. ამ სამი წლის წინედ ქვემო რაჭაში ორ-კლასიანი სკოლა ერთიც არ მოიპოვებოდა, ყველა სკოლები ერთკლასიანები იყო და ისინიც-კი მეტად ცუდს პირობებში: მასწავლებლებად იყვნენ სრულებით მოუმზადებლები. ეხლა ორ-კლასიანი სკოლა სამია და მასწავლებლებად სოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებულები არა მარტო ორ-კლასიან სკოლებში, არამედ ერთ-კლასიანებშიაც, რის გამო სწავლა უკეთესად სწარმოებს და კიდევ უკეთეს ნიადაგზედ იქნება დაყენებული, რომ ზოგიერთი გარეშე პირები ხელს არ უშლიდნენ!..

რა რომ დაინიშნენ ამბროლაურის ნაწილის ბოქაულად ბ. მ. მდივანი და რაჭის მაზრის უფროსად ზ. რ. ყიფიანი, სწავლის საქმემფერი იცვალა: ამ პატივცემულ პირებმა გულმოდგინეთა და მუყაითად მოჰკიდეს ხელი სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესობას, პირველმა, რასაკვირველია, მისდამი რწმუნებულ ამბროლაურის საბოქაულოში, მეორემ კი მთელს რაჭის მაზრაში. ამავე საქმეში არა ნაკლები ღვაწლი და შრომა მიუძღვით თვითონ მაზრის უფროსის და ბოქაულის მეუღლეთ პატივცემულს ი. ნ. ყიფიანისას და დ. ნ. მდივნისას. ამ პირების შრომა-მეცადინეობას ამაოდ არ ჩაუვლია და მალეც გამოიღო ფრიად სასიამოვნო ნაყოფი: ბევრად გააუმჯობესეს სკოლის საქმეები და ორ-კლასიანი სკოლებიც დააარსეს, რისთვისაც სასწავლებლის მთავრობამ დიდი მადლობა გამოუცხადა.

აქაური სამკითხველო. ქვემო-რაჭაში ერთი უფასო სამკითხველოც გვაქვს, რომელიც არსებობს ქვემო რაჭის ყველა სოფლებისთვის მოხდენილ ადგილზედ ამბროლაურში, სადაც, შედარებით სხვა სოფლებთან, მეტი მოთხოვნილება სუფევს წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვისა. ეს სამკითხველო თუმცა ჯერ ძლიერ ნორჩია, მაგრამ შესამჩნევად დაამჩნივა კვალი საზოგადოებას გონებით დაწინაურებასა და სიფხიზლეში. მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, უნდა ვუსაყვედუროთ სამკითხველოის დამაარსებელს გულ-გრილობა და უზრუნველობა სამკითხველოზედ; თავთავის დროზედ არ ნებულობს რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების დაბარებას სამკითხველოსთვის და ეს გარემოება გულს უცრუებს ხალხს თვით სამკითხველოზე. ფული-კი სამკითხველოსთვის 200 მანათამდე უნდა იყოს წევრთაგან შემოსული. იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებს, ვისგანაც ჯერ არს...

გამოცდილი არტისტი. ერთს არტისტს წარმოდგენის დროს უნდა ეთქვა მეორე არტისტზედ: „აგერ, ისიც მოდისო». სთქვა ეს სიტყვები, მაგრამ არტისტმა დაიგვიანა და დროზედ არ მოვიდა. მაშინ გამოცდილმა არტისტმა მძიმედ ამოიღო ჯიბიდგან საათი, გასინჯა და სთქვა: «არა, ჯერ დრო არ არის, ერთი წუთი კიდევ აკლია მის მოსვლას, საცაა მოვა კიდევაცო“. თეატრში მყოფმა საზოგადოებამ სრულობით ვერ გაიგო, რომ ეს სიტყვები ჩამატებული იყო.

სახუმარო წესდება რკინის გზისა.

§ 1. ყველა მგზავრს უფლება აქვს: საკუთარისა, ანუ მოპარულის ფულით რკინის გზის სადგურზედ ბილეთი იყიდოს და თუ მატარებელში ადგილი აღმოჩნდა, ჩაჯდეს და წავიდეს იმ სადგურამდე, სადამდინაც ბილეთი აქვს ნაყიდი. თუ ადგილი არ არის მატარებელში, შეუძლიან ფეხზედ იდგეს, ან ვაგონის ბანზედ ავიდეს. თუ არც ამისთვის არის ადგილი, შეუძლიან აღარსად წავიდეს, მაგრამ რკინის გზის მმართველობა ფულს აღარ დაუბრნებს.

§ 2. რკინის გზის კონდუქტორებს, სადგურის უფროსებს, და რკინის გზის ყველა მოხელეთ სრული უფლება აქვთ მგზავრი გაალვიძონ, რაც უნდა ტკბილად ეძინოს, და ბილეთი გასჭრან ხოლმე. თუ ბევრის გაჭრისაგან ბილეთიდგან არაფერი დარჩა, მგზავრმა ახლა სხვა ბილეთი უნდა იყიდოს.

§ 3. სასტიკად აკრძალულია ვაგონში თამბაქოს მოწევა, ხმა მაღლა ლაპარაკი, ჩხუბი, ზურნისა და დუდუკის ან სხვა საკრავის დაკვრა. სხოლიო. ეს აკრძალვა არ შეეხება თვით რკინის გზის მოხელეებს, რომლებსაც სრული უფლება აქვთ ლანძღონ მგზავრი, სცემონ და თუ მოისურვეს, მატარებლიდგანაც გადმოაგდონ.

§ 4. თუ მგზავრმა ვაგონში შუშა გასტეხა ან სხვა რამ წაახდინა, გატეხილის ფასი ერთი ასათ გადახდება და სამართალშიაც იქმნება მიცემული. ხოლო თუ მატარებელი თავის თავად დაიმსხვრა და მგზავრებიც ზოგი დახოცა, ზოგს ფეხი მოსტყდა, ზოგს ხელი, ან სხვაფრივ მძიმედ დაშავდა, ამის პასუხს არავინ აგებს.

§ 5. თუ უბილეთოდ ჰსურს ვისმე მოგზაურობა, ეს სურვილი კონდუქტორს უნდა განუცხადოს, მერე თვალები დახუჭოს და „ბრუციანი“ გახდეს, რომ კონტროლიორმა არ დაინახოს. თუ ვინიცობაა, სადმე ძლიერ სასტიკი კონტროლერი ჩაჯდა მატარებელში, უბილეთო კაცი მოვალეა, ან ვაგონის ბანზე ავიდეს, ან სკამის ქვეშ დაიმალოს. თუ ესეც არ მოხერხდა, „ბრუციანი“ მგზავრი მოვალეა გადახტეს მატარებლიდგან და თავ-პირი დაიმტვრიოს.

§ 6. რკინის გზის უფროსების მოვალეობაა, ეცადნენ, რაც შეიძლება, გზისა და საკუთარი შემოსავალი გაადიდონ, ხოლო ხარჯი და წვრილ მოხელეთა ჯამაგირი შეამცირონ. გარდა ამისა თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ ტელეგრაფის მოხელეებს, მემაშინეებს, კონდუქტორებს, მეისრებს და სხვა წვრილ მოხელეებს ძილისა და მოსვენებისთვის დრო არა ჰქონდეთ.

§ 7. რკინის გზის წვრილ მოხელეებს სასტიკად აკრძალული აქვთ შესჩივლონ თავის ცოლ-შვილს, დედმამას ანუ სხვა ნათესავებს, უფროსები ცუდად გვექცევიანო, ბევრს გვამუშავებენო და სხვ. ამ მოხელეებს აკრძალული აქვთ იმ ქუჩაზედ გავლა, სადაც რომელისამე გაზეთის რედაქცია იმყოფება.

კუპრია.

რკინის გზის ამბები.

შორაპანი. ჭიათურის გზაზე ჩამოწვა მიწის ზვავი, რის გამო მგზავრების მატარებელი ორი საათი იყო გაჩერებული.

—

ტფილისი. სოფელ ჯიხაიშის მცხოვრებს იაკობ ივანეს ძე ლორთქიფანიძეს მოუპარავს სოფელ ამბრილაურის მცხოვრებს ვლადიმერ გლახასძე ხიდურელისათვის ვაგონში ბარგი, დამნაშავე ჟანდარმს შეუპყრია და პოლიციის მეორე ნაწილში დაუტუსაღებიათ.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

გუშინწინ საზოგადოების დარბაზში ჩვეულებრივი კრება მოხდა, უგ. თავ. პ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც კრებას მოახსენა მეურნეობის მინისტრის მოწერილობა; ამ ქაღალდიდამ სჩანს, რომ სამინისტროს სურვილი აქვს გაავრცელოს ჩვენს მხარეში ბამბის მოყვანა, ამისათვის სამინისტროს შეუძენია დიდ ძალი და კარგის თვისების ბამბის თესლი. ეს თესლი მეურნეთ დაურიგდება „სამეურნეო საზოგადოების“ საშუალებით უფასოდ, იმ პირობით, რომ თითო პირს სამი ფუთი თესლის მეტი არ მიეცეს. გარდა ამისა, ვისაც თესლის ყიდვა სურს, ფუთი თესლი—50 კაპ. დაეთმობა. ამის შემდეგ. რამოდენიმე მორიგი საქმეები განიხილა კრებამ და ბოლოს ბ. თავმჯდომარემ მიჰმართა იქვე მყოფს მ. პ. სტეცენკოს და სთხოვა, „გაგვაცანით ბამბის მოყვანის საქმესაო». ბ. სტეცენკომ წაიკითხა ვრცელი ლექცია ამ საგნის შესახებ, რომლითაც დაწვრილებით გააცნო დამსწრე საზოგადოება თურქესთანის მხარეში ბამბის

მოყვანის წეს-რიგს. პატივცემულ ლექტორს, თურმე, თითონ მოჰყავდა თურქესთანში ბამბა და გვიმტკიცებს, რომ ჩვენს მხარშეიაც შესაძლებელია ისეთი დიდი სარგებლობა მოიტანოს ბამბამ, როგორიც იქ მოაქვსო.

ამ ლექციამ, რომლის შინაარსსაც დაწვრილებით მკითხველებს შემდეგში გავაცნობთ, დიდი ბაასი გამოიწვია დამსწრე პირებისა. ლექცია რუსულს ენაზედ დაიბეჭდება „კავკასიის სამეურნეო გაზეთში.“

◆

სასამართლოს მატიანე.

—

მტრედის სისხლი. 21 დეკემბერს ქალაქ ვლადიმირის ოლქის სასამართლომ შემდეგი საქმე გაარჩია. შარშან ზაფხულს სოფელ კომაროვში ერთი ქალი მოჰკლეს და მისი სახლი გაძარცვეს. ეჭვი მიიტანეს ერთს მწყემსწედ, ნაზაროვზედ და კიდეც დააპატიმრეს. ნაზაროვი გამოტყდა, მე მოვკალიო. შეადგინეს საბრალდებლო ოქმი და ნაზაროვი სასამართლოში მისცეს. მერე ნაზაროვმა განაცხადა, ქალი მე არ მომიკლავს და თუ ამას წინად ვთქვი, რომ მე მოვკალი, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიციამ ძალა დამატანაო. მაგრამ ნაზაროვის სიტყვა აღარავინ დაიჯერა, მით უმეტესად, რომ, როცა იგი დააპატიმრეს, ტანისამოსი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ნაზაროვმა სთქვა, სანადიროდ ვიყავი, მტრედი მოვკალი და ეგ იმის სისხლიაო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა ამას?

ცოტახნის შემდეგ ციხეში დაპატიმრებული ავაზაკი ანფილოვი გამოტყდა, ის ქალი მე მოვკალი და ნაზაროვს ტყუილად აბრალებთო. საქმე ხელ მეორედ გამოიძიეს და ნამდვილად დამტკიცდა, რომ ქალი ამ ონფილოვსა და ერთს ქალს მოუკლავთ. ნაზაროვი გაანთავისუფლეს. ამ გვარად ნაზაროვი ამ საქმეში ისე ყოფილა უმანკო, როგორც მის მიერ მოკლული მტრედი.

◆

წვრილი ამბები

—

საზიზღარი მკვლელობა. 13 იანვარს, ღამე, ქალაქ ირბიტში, სამკურნალოს ზედამხედველმა ალექსანდრე სურგეის ძემ უგრიანცევმა მოჰკლა თავისი სამის თვის ბავშვი. მთელ დღეს უგრიანცევი მეტად აღელვებული იყო. ცოლი სხვაგან წავიდა და ორი ბავშვი თან წაიყვანა, მესამე, ძუძუმწოვარა-კი ძიძასთან დასტოვა. უგრაინცევმა ჰკითხა ძიძას: „სად არის ჩემი ცოლი და ორი შვილიო?“ ძიძამ უპასუხა „არ ვიცი, სადღაც წავიდნენო“. მაშინ მამამ თავისი შვილი შეიტანა კაბინეტში. სამჯერ რევოლვერი დასცა, მერე ბაწარი წაუჭირა ყელში. შემდეგ გვამი დაასვენა ხატთან და სანთლები აანთო. ეს ამბავი გაიგო პოლიციამ და დაკეტილ კარების გატეხა რომ მოინდომა, უგრიანცევმა თავის მოკვლა განიზრახა იმავე რევოლვერით და ძლიერ მძიმედ არის დაჭრილი. უგრაიანცევი წინადვე სწერდა თურმე, ჩემი შვილები ჩემის ხელით უნდა დავხოცო, რადგანაც არ მინდა, რომ ჩემსავით უბედურები იყვნენო.

—

ავაზაკობა სიყვარულისაგან. რუსეთში, ერთს სოფელში ერთს კაცს ერთი ქალი უყვარდა და სთხოვა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ ქალი არ დასთანხმდა და სხვაზედ გასთხოვდა. განაწყენებულმა არშიყმა ქორწილის დამეს ცეცხლი წაუკიდა ახლად ჯვარდაწერილთა სახლს, რომელიც ერთიანად გადიბუგა.

პეტერბურგის ბირჟა

კურსები და ფონდები.

პეტერბურგი, 18 თებერვალი 1897 წ.

ვექსელ. კურსი 3 თვით:	
ლონდონისა 10 გირ. სტ—ში	94
ბერლინისა 100 მარკაში	45,95
პარიზისა 100 ფრანკში	$37,32^5/_8$
მდგომარეობა ვექს. კურსისა	მშვიდია
ხუთ-მანათიანი ოქრო	—
ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.)	149
ბირჟის დისკონტი	$5^3/_4$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_8$
4% შინაგანი სესხი 1 სერიისა	$98^7/_8$
$5^1/_2$% „ „ 1893 წლ.	$101^3/_8$
$4^1/_2$% გირავ. ფურც. სათ.-აზნ.	
4 საად.-მამულო ბანკისა	$101^3/_8$
4% „ „ „ „ „	$97^5/_8$
$4^1/_2$% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ.	$101^3/_4$
% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ.	$280^1/_4$
5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ.	260
5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ.	211
„ ოქროს რენტა 1884 წ.	—
$^1/_2$% გირ. ფურ. ურთ. შორის	
5 საად.-მამ. საკრ. საზოგად.	$157^1/$,
4% სახელ. რკინ. გზ. რენტა	—
$4^1/_2$% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ.	$101^1/_2$
„ „ 2 გამ. 1892 წლ.	$101^3/_4$
4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ.	$152^1/_2$
$4^1/_2$% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ.	$101^1/_4$
„ ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ.	$101^1/_4$
4„ ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ.	$101^1/_4$
% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ.	97
$4^1/_2$% სესხი ქ. პეტერბურგ.	$99^3/_4$
$4^1/_2$% „ „ ქ. ოდესისა	96
5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ.	$101^5/_8$
$4^1/_2$% „ „ „ „	$98^1/_8$
5% . . . . მოსკოვისა	101
$5^1/_2$% ობ. ოდეს. საკრ. საზ.	$100^1/_2$
5% „ „	$100^1/_4$
$4^1/_2$% „ „	$99^1/_4$
5% ტფილისის	$98^3/_4$
$5^1/_2$% გირავნ. ფურც. ხერს.	$101^1/_4$
5% საად. მამულო ბანკისა	$100^5/_8$
$4^1/_2$% „ „ „ „	$95^5/_8$
5% „ „ ბესარ.-ტავრ. საად.- მამულო ბანკ.	$100^3/_8$
$4^1/_2$% „ „	$94^3/_4$
5% ვილენის	$101^1/_8$
„ დონისა	$100^3/_8$
$4^1/_2$% დონისა	$95^3/_4$
5% კიევისა	101
$4^1/_2$% „ „	$95^3/_4$
5% მოსკოვისა	101
„ ნიჟ-სამარისა	101
„ პოლტავისა	$100^1/_2$
$4^1/_2$% „ „	$95^1/_8$
5% ტულისა	101
„ ხარკოვისა	101
$4^1/_2$% „	96
6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „	$99^1/_4$
6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ.	102
5% „ „ „ „	$99^1/_8$
აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ.	$504^1/_2$
„ პეტ. უჩოტ. და სესხ.	704
„ პეტ. ერთა-შორებრივ.	619
„ რუსეთის შინაგ. ვაჭ.	$421^1/_2$
„ ვოლგა-კამას კომერ.	1275
„ პეტერბ.-მოსკოვის კომ.	407
„ პეტ.-აზოვის კომ.	380
„ რუს. სავაჭ.-სამრ. ბან.	$346^1/_2$
„ აზოვი-დონის კომ. ბან.	600
„ ვარშავ. კომერ.	485
„ მოსკოვ. საერთაშ. ბან.	450
„ ციმბირისა	685
„ ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ.	590
„ ვილენისა	575
„ დონისა	685
„ კიევისა	795
„ მოსკოვისა	730
„ ნიჟეგოროდ. და სამარის	640
„ პოლტავისა	570
„ პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ.	400
„ ხარკოვის საად.-მ. ბან.	465
„ პეტერბ. განათ. საზოგ.	$123^1/_2$
პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად.	8600
აქციები „ „ „	435
„ პუტელ. ქარხნის საზოგ.	$126^1/_2$
„ ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ.	493
აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“	203
„ რუს. და ბელგ. მეტალ.	250
„ მალცევის ქარხნებისა	595
„ რუს. ოქრ. საზოგად.	263
„ რუს. დამზ. საზ. 1827 წ.	1500
„ „ „ „ 1835 წ.	315
„ დამზ.საზ. „სალამანდრა“	420
„ პეტერ. დამზღ. საზოგ.	440
„ მოსკოვ. დამზღვ. საზოგ.	830
„ დამზღ. საზ. „როსსია“	390
„ საზ. „რუსს. ლლოიდ“	1100
„ რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ.	122
„ დამზღვევი საზოგად. კ. „ნადეჟდა“	250
„ რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო	590
„ საზ. „კავკაზ და მერკურ“	390
„ ნავოსნ. დნეპრზე	90
„ მოსკ.-ყაზანის რკ. გზ.	400
„ კიევი-ვორონეჟ.	439
„ რიბინსკისა	765
„ სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ.	$180^1/_4$

დგომარეობა ფონდის ბაზრისა—მკვიდრია.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ სიებში შეცდომით დაბეჭდილია: 1) ვითომც ხსენებული სიები გამოცხადდა 14 თებერვლიდგან და 2) ვითომც ამომრჩეველთა განსაჩივრება მიიღება ხუთ მარტიდანაო, ხოლო ნამდვილათ კი ამომრჩეველთა სიები გამოცხადდა ამა თებერვლის თვრამეტიდან და ამავე რიცხვიდან მიიღება გამგეობაში საჩივრები და შენიშვნები სიების შესასწორებლად ორი კვირის განმავლობაში, ესე იგი 5 მარტამდე.

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ამა თებერვლის 18-იდან ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს-რა ამომრჩეველთა სიას ხმოსნების დამდეგის არჩევანებისათვის ქალაქის საბჭოში შემდეგი ოთხის წლით 1897—1901, საყოველთაოდ აუწყებს, რომ ორი კვირის განმავლობაში ამა განცხადების დაბეჭდვიდან, ესე იგი, დამდეგის 5 მარტამდე 1897 წლისა, **ქალაქის გამგეობა მიიღებს ყოველგვარ საჩივარს და შენიშვნას ამომრჩეველთაგან** ხსენებულ სიის შესასწორებლად და შესავსებლად, რათა გამგეობის სიით და განკარგულებით უკმაყოფილებს შეეძლოთ გამგეობის მოქმედებათა განსაჩივრება შვიდის დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც განცხადება მოუვათ მიმართონ საჩივარით ბატონ ტფილისის გუბერნატორს. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველდღე, გამგეობის კანცელარიიდან ამომრჩეველთა სიები, შესახებ ხმოსანთა ამორჩევისა ტფილისის ქალაქის საბჭოში დამდეგის ოთხი წლისათვის 1897—1901 წ.

(3—3).

Первый на Кавказѣ
КЛОКОЛЬНЫЙ ЗАВОДЪ
Инженеровъ
ЯРАЛОВА и АЛИХАНОВА
въ Тифлисѣ

Отливаетъ новые и переливаетъ разбитые колокола всѣхъ размѣровъ. Прочность, прекрасный тонъ, умѣренныя цѣны. Надписи на всѣхъ языкахъ.

ინჟენერთა
იარალოვისა და ალიხანოვის
პირველი ქარხანა კავკასიაში
ზარებისა

ასხამს ახალ ზარებს და აკეთებს ძველებსაც და დამტვრეულებს ყოველ ზომისას და ღირსებისას.
ზარები მკვიდრია, მშვენიერის ხმისანი. ზარებზე ზედ წარწერა ყოველ ადგილობრივ ენებზე. (100—12)

ახალი სასტუმრო
არარატი
დაბა დილიჟანში.

კარგად მორთული ნომრები და საუკეთესო ბუფეტი.
ყარსში მამავალი მგზავრები და ახალ რკინის გზის იჯარადრები უკეთესს ადგილს ვერ იშოვნიან დილიჟანში ღამის გასათევად.

ფასები ძლიერ იაფია
სასტუმროს პატრონი ბესარიონ ი. შაფაქიძე.

Новая гостиница „АРАРАТЪ“, въ уроч. Делижанъ.
Цѣны умѣренныя.
Содержатель В. И. Шапакидзе.
(15—13)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА
НОВЫЙ ЖУРНАЛЪ
ЛИТЕРАТУРНЫЙ, НАУЧНЫЙ и ПОЛИТИЧЕСКІЙ
„ЖИЗНЬ“

Журналъ выходитъ съ 1 января 1897 г. въ С.-Петербургѣ **три раза** въ мѣсяцъ (1, 11, и 21) книгами большого формата in 8° въ **10—12** печ. листовъ (160—200 стр.) каждая.

Въ программу журнала входятъ слѣдующіе отдѣлы:

36 КНИГЪ — **7 РУБЛЕЙ**

I. Романы, повѣсти, разсказы (преимущественно русскихъ авторовъ), стихотворенія и пр.
II. Научныя статьи по всѣмъ отраслямъ знанія и искусствъ, въ популярномъ изложеніи.
III. Статьи по общественнымъ вопросамъ.
IV. Критика и библіографія.
V. Русская жизнь.
VI. Заграничная жизнь.
VII. Театръ. Музыка. Живопись.
VIII. Смѣсь.

Приступая къ изданію журнала, редакція **„ЖИЗНИ“** руководствуется мыслью, что среди читающей публики давно чувствуется потребность въ такомъ органѣ печати, который былъ бы чуждъ односторонности и рутины, столь обычной въ нашей журналистикѣ. Съ свѣтлой вѣрой въ будущее нашей родины, нашей родной литературы, мы выходимъ на журнальное поприще. Мы глубоко убѣждены въ томъ, что время, переживаемое теперь, не есть время слабости или упадка, напротивъ того, это время броженія и усиленныхъ умственныхъ запросовъ, въ которыхъ скрываются зачатки великаго будущаго. Согласно съ этимъ убѣжденіемъ мы будемъ съ величайшимъ вниманіемъ относиться ко всѣмъ новымъ явленіямъ жизни, науки и литературы. Въ переживаемомъ нами времени, конечно, есть много уродливыхъ сторонъ, вродѣ пресловутаго декадентства—декадентства въ жизни и въ литературѣ,—но есть также и много дѣйствительно прекраснаго. Принимая съ благодарностью лучшіе завѣты и уроки прошедшаго, мы, однако, не будемъ жить исключительно его традиціями. На смѣну ему идетъ будущее съ неизбѣжно новыми задачами, новыми теченіями въ наукѣ и мысли вообще. Этому будущему, его интересамъ, равно какъ интересамъ и вопросамъ настоящаго и будетъ посвященъ, главнымъ образомъ, нашъ журналъ.

Открывая подписку на журналъ, редакція **„ЖИЗНИ“** не стремится длиннымъ спискомъ обѣщавшихъ свое сотрудничество авторовъ или перечнемъ пріобрѣтенныхъ у нихъ произведеній привлечь подписчиковъ. Редакція ограничивается лишь сообщеніемъ своихъ общихъ задачъ и надѣется, что ей удастся сослужить посильную службу на трудномъ общественномъ поприщѣ и добиться своихъ цѣлей не рекламою, а добросовѣстнымъ исполненіемъ принятыхъ на себя обязательствъ.

Подписная цѣна за годовое изданіе „ЖИЗНИ“, состоящее изъ **тридцати шести книгъ, СЕМЬ рублей** съ доставкой и пересылкою.

За границу—7 рублей золотомъ.

При обращеніи непосредственно въ контору „ЖИЗНИ“ допускается разсрочка: при подпискѣ вносится **3** рубля, къ 1-му апрѣля **2** руб. и къ 1-му іюля остальныя, или на болѣе льготныхъ условіяхъ отъ **1** руб. ежемѣсячно.

КОНТОРА РЕДАКЦІИ: С.-Петербургъ, Ковенскій пер., д. № 30.
Редакторъ-издатель А. В. **Ваейковъ.** (6—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Февраля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.